საჯარო სამართლის იურიდიული პირი

მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

KA020110302346223

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ბრძანება № 101/ს

31 / იანვარი / 2023 წ.

ი/მ „ქაზიმ კურბანოვი“-ზე (ს/ნ 28001043417) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №260 ლიცენზია - ბრძანებით გათვალისწინებული წიაღისეულის ათვისების გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის და მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, „ფ/პ ემინ ზეინალოვზე (პ/ნ 28001104929) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10001905 ლიცენზიის ი/მ „ქაზიმ კურბანოვი“-ზე (ს/ნ 28001043417) საკუთრებაში მთლიანად გადაცემის შესახებ“ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 30 დეკემბრის №260 ლიცენზია - ბრძანების და ი/მ „ქაზიმ კურბანოვი“-ს ((ID: 82502, შტრიხკოდი: 3403541, 26.01.2023წ.) სააგენტოში შემოსვლის №723, 27.01.2023წ.) განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. დიდი დურნუკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ი/მ „ქაზიმ კურბანოვი“-ზე (ს/ნ 28001043417) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №260 ლიცენზია - ბრძანებით გათვალისწინებული წიაღისეულის: ბაზალტის (სხვა საშენი მასალა) ათვისების გეგმა მოცემული ცხრილის შესაბამისად:

წელი	**ასათვისებელი რესურსის ოდენობა მ3**
2023	**2000**
2024	**5000**
2025 წლის 3 თებერვლამდე	**33120**

2. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ მხარეს;

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ანდრო ასლანიშვილი